## შემოსავლების სამსახური

## ბრძანება № 3374

29. 06 2011 წელი თბილისი

### შაქრის ნედლეულის საწარმოო დანაკარგის დამტკიცების შესახებ

„ბუნებრივი დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების შემმუშავებელი სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 აპრილის №845 განკარგულების მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „ფ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ" ქვეპუნქტის საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მყარ მდგომარეობაში მყოფი შაქრის ნედლეულის დახურულ საწყობში შენახვისას საწარმოო დანაკარგი განისაზღვროს თვეში 0,031%-ს ოდენობით.
2. შაქრის ნედლეულის ვაგონებიდან გადმოტვირთვისა და ტარის გარეშე შიდა საქარხნო ტრანსპორტირების დროს საწარმოო დანაკარგი განისაზღვროს 0,139%–ს ოდენობით.

3. შაქრის ნედლეულის გადამუშავებისას საწარმოო ტექნოლოგიური დანაკარგი განისაზღვროს 1,581%-ს ოდენობით.

4. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სამსახურის უფროსი ჯამბულ ებანოიძე